სსიპ - სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16/09/2024

MES 7 24 0001137860

ბრძანება

სსიპ - საცხე -ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე დამატებით მიღების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტარაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56–ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის № 227 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის, 29-ე მუხლის, 32-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის № 52/ნ ბრძანებით დამტკიცებული `საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების'' პირველი მუხლის პირველი პუნქტის და მე–14 მუხლის მე-6 პუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის № 35 დადგენილებით დამტკიცებული ,, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'' მე-3 მუხლის 3.2 პუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს დამატებით მიღება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წელს შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:

საქართველოს ისტორია - 7 ადგილი
ქართველური ენათმეცნიერება – 10 ადგილი
ქართული ლიტერატურის ისტორია – 7 ადგილი
ბიზნესის ადმინისტრირება – 3 ადგილი
აგროტექნოლოგია – 6 ადგილი
ბიზნეს-ინფორმატიკა – 5 ადგილი
ასტრონომია – 8 ადგილი

2.მაგისტრანტობის კანდიდატთა საბუთების მიღების / რეგისტრაციის ვადა 2024-2025 სასწავლო წლისათვის განისაზღვროს 16 სექტემბრიდან 24 სექტემბრის ჩათვლით;

3.მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა.განცხადება რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სამაგისტრო პროგრამის მითითებით (ივსება ადგილზე);
ბ. ავტობიოგრაფია cv;
გ.სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი ან ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ დიპლომი ჯერ არ არის გაცემული (2024 წლის კურსდამთავრებულთათვის);
დ. პირადობის მოწმობის (პასპორტის) 2 ასლი;
ე. ფოტოსურათის (3X4) ელექტრონულივერსია (CD);
ვ.საერთო სამაგისტრო გამოცდის საგამოცდო ბარათი და მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული ქულების ამონაბეჭდი გამოცდების ეროვნული ცენტრის საიტიდან (www.naec.ge);
ზ. უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასლთან ერთად;
თ. მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის);
4.სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების ჩატარებისა და შედეგების გამოცხადების ვადები განისაზღვროს შემდეგი სახით:
4.1 გამოცდა უცხო ენაში (იმ საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებსაც მოეთხოვებათ უცხო ენის გამოცდის ჩაბარება) – 2024 წლის 24 სექტემბერს 12 საათზე .
ა) გამოცდის შედეგების გამოცხადება – 25 სექტემბერი;
ბ) გამოცდის შედეგების გასაჩივრება – 25 სექტემბერი;
გ) აპელაციის შედეგების გამოცხადება – 26 სექტემბერი;
4.2 გამოცდა სპეციალობაში - 2024 წლის 26 სექტემბერს 12 საათზე;
ა) გამოცდის შედეგების გამოცხადება - 27 სექტემბერი;
ბ) გამოცდის შედეგების გასაჩივრება - 27 სექტემბერი;
გ) აპელაციის შედეგების გამოცხადება - 28 სექტემბერი;
საბოლოო შედეგების გამოქვეყნების ვადა - 30 სექტემბერი 18:00
5.განისაზღვროს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების ჩატარების ადგილი: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პირველი კორპუსი, მისამართი: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113.
6. ხელშეკრულებები მაგისტრანტობის კანდიდატებთან გაფორმდეს 2024 წლის 30 სექტემბერს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
8. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად;
9. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების დაგზავნა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებისათვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის განყოფილებისათვის, შესაბამისი ფაკულტეტებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;
10. დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის განყოფილებას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ – გვერდზე ;
11.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირებისათვის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. ახალციხის რაიონულ სასამართლოში მისამართი: ქ. ახალციხე კ. მებაღიშვილისქ.№ 62;

საფუძველი: ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის ბრძანება № 227.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორი ბერიძე მაკა

ელექტრონულად
მზამზეულია
ელექტრონულად